

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 1 აპრილს „ჯონოული 1“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

31 ოქტომბერი, 2016 წ.

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ილია ელოშვილის მიერ,

შპს „ხვამლი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“), ს/კ: 405043297, წარმოდგენილი დირექტორის, ნიკოლოზ ჩაჩხიანის მიერ,

შპს „ჯონოული 1“ (შემდგომში წოდებული, როგორც „საპროექტო კომპანია“), ს/კ: 442570638, წარმოდგენილი დირექტორის, ზურაბ სამსონიძის მიერ,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ

(შემდგომში ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“).

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. შეიცვალოს საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 1 აპრილს „ჯონოული 1“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების თაობაზე დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (შემდგომში - „მემორანდუმი“) დანართი N3 (კერძოდ, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადა) და ჩამოყალიბდეს ამ შეთანხმებაზე თანდართული სახით.
2. მემორანდუმის მუხლები, დებულებები და სხვა დანართები რჩება უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
4. წინამდებარე შეთანხმება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. წინამდებარე შეთანხმებიდან ან/და მასთან კავშირში წარმოშობილი ნებისმიერი დავა, რომელიც მხარეებს შორის ვერ მოგვარდება მოლაპარაკების გზით, გადაწყდება

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

ილია ელოშვილი

შპს „ხემალი“

ნრიკოლოზ ჩაჩხიანი

შპს „გონოუფი-1“

ზურაბ სამსონიძე

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე

დანართი N3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი		დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - 2016 წლის 31 დეკემბერი	ექსპლუატაციაში მიღება
10 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		18 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№2234 2016 წლის 19 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ხვამლს“ შორის 2015 წლის 1 აპრილს „ჯონოული 1“ ჰიდროელექტროსადგურის შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ხვამლსა“ და შპს „ჯონოული 1“-ს შორის დასადები შეთანხმება, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ხვამლს“ შორის 2015 წლის 1 აპრილს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010127062491516

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6714

13 / ოქტომბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმაღამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 11 ოქტომბრის №04/4136 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ხვამლსა“ და შპს „ჯონიული 1“-ს შორის დასადები შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ, ვინაიდან შპს „ხვამლის“ მიერ დარღვეულია 2015 წლის 1 აპრილის ურთიერთგაგების მემორანდუმის 8.2 მუხლში განსაზღვრული ვალდებულება ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-3 დანართით გათვალისწინებულ ვადაში „მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების“ თაობაზე, საკითხი კომპანიის მიმართ ურთიერთგაგების მემორანდუმის 9.2 და 9.3 მუხლებით, ხოლო შემდგომში, შესაბამისად, 14.2 მუხლით გათვალისწინებული სანქციების არგამოყენებასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

პატივისცემით,

გ. ლაჩვიჭავანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1209
13/10/2016

1209-01-2-201610131419



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 11 ოქტომბრის N04/4137 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ხვამლსა“ და შპს „ჯონოული 1“-ს შორის 2015 წლის 1 აპრილს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი (ჯონოული 1 ჰესი), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ზაზა დვალისვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036